[...]ეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 24 დეკემბერი 1917 წ.

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола". კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола". განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 64 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბოლშევიკების) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. № 64

## მიიღება ხელის მოწერა 1918 წლ.

### ყოველ დღიურ გაზეთებზე

### „ბრძოლა", „კავკაზსკი რაბოჩი" და „ბანვორი კრივ"-ზე

რუსეთის ს.-დ. მ. პარტიის (ბოლშევიკების) საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანოებზე.

„ბრძოლაზე" ხელის მოწერის პირობები: ერთი წლით ღირს 24 მან., ნახევარი წლით—12 მან., ერთი თვით—2 მან.

პირველ იანვრიდან ხსენებულ გაზეთების კანტორა მოაწყობს გაზეთების თფილისში ხელის მომწერთა ბინაზე მიტანას. მხოლოთ თავის დროზე გაზეთის მიტანის მსურველთ გადახდებათ თვეში 50 კაპ. გამოცხადებულ ხელმოსაწერ ფასებზე მეტი.

## ოპორტუნიზმი და ნაციონალიზმი

ყველა ქვეყნის მუშათა პარტიებს ახასიათებს ერთი მოვლენა. პროგრამით ერთიანებულნი ისინი ორ მიმდინარეობას წარმოადგენენ ტაქტიკურ საკითხებში. ყველა პარტია იყოფა ორ უმთავრეს ფრთათ: მემარცხენე ან უკიდურეს ფრთა და მემარჯვენე ან ზომიერი ფრთა. მათ ერთი აქვთ მიზანი, ხოლო სხვადასხვა გზა მის მისაღწევათ.

მემარჯვენე ფრთა სიტყვით აღიარებს მიზანს, საქმით კი ებრძვის მის განხორციელებას. ის უფრთხის ყოველ გადამწყვეტ ნაბიჯს, ყოველ რევოლიუციონურ მოქმედებას. ის დიდი მომხრეა გაბატონებულ კლასებთან შეთანხმება-მორიგების და ქვეყნით უფრთხის დამოუკიდებელ კლასობრივი პოლიტიკის წარმოებას; ის მომხრეა მოწინააღმდეგე კლასთან შერიგების და წინააღმდეგია კლასთა ბრძოლის, კლასობრივი შეურიგებლობის. ეს მიმართულება, ცნობილი როგორც ოპორტუნისტული მიმართულება, ან მოკლეთ, როგორც ოპორტუნიზმი, ნამდვილი სენია თანამედროვე მუშათა მოძრაობის, რომელიც ღრღნის მას და გასაქანს არ აძლევს.

შემთხვევითი არ არის ეს მოვლენა მუშათა მოძრაობაში, მას თავისი ღრმა მიზეზები აქვს. მუშათა კლასი, როგორც ყველა კლასებზე დაბლა მდგომი, ყველაზე უფრო დაჩაგრული და გაძარცვული კლასი, ობიექტიურათ რევოლიუციონურია თავისი მდგომარეობით. მას შეუძლია მხოლოდ ბრძოლით გაიუმჯობესოს თავისი მდგომარეობა და მხოლოთ რევოლიუციის საშუალებით შეუძლია მას მოსპოს მიზეზები და საფუძველი ყოველივე ჩაგვრა-ყვლეფისა. მიუხედავათ ამისა, მასში მაინც იბუდებს სრულიათ წინააღმდეგი მიმართულება, რომელიც კლასთა ბრძოლის მაგიერ კლასთა შეთანხმებას აჩეჩებს მას ხელში და ცდილობს ის გამოიყვანოს ამ ერთათ ერთი სწორი გზიდან, ოპორტუნიზმი საშინლათ ებრძვის რადიკალიზმს მუშათა მასაზე გავლენის მოსაპოვებლათ.

ოპორტუნიზმი ხშირათ აღწევს გამარჯვებას. აქედან აშკარაა, რომ რამოდენიმეთ მას აქვს ნიადაგი მუშათა კლასში. საიდან წარმოსდგება იგი?

მუშათა კლასი არ წარმოადგენს ერთ მტკიცე ერთეულს, რომელიც ერთხელ და სამუდამოთ ჩამოყალიბებულია. მას მუდამ ემატება ახალ-ახალი ნაწილები საზოგადოების სხვადასხვა წრეებიდან, რომელთაც თან მოაქვთ ამ წრეების სული, კვეთება, შეხედულობა, მისწრაფება.

ყველაზე მეტათ წვრილი ბურჟუაზიიდან აწყდება პროლეტარიატს ახალი რაზმები. მათ თან მოაქვთ თავისი რყევა, ორჭოფობა და ბურჟუაზიული შეხედულება: ისინი კარგავენ თავის ეკონომიურ დამოუკიდებლობას და პროლეტარიატის რაზმში ვარდებიან, მაგრამ დიდხანს ინარჩუნებენ თავის ბურჟუაზიულ აზროვნებას და მით ბოჭავენ პროლეტარიატის ჯერ ჩამოუყალიბებელ და ბრძოლაში გამობრძმედილ რაზმებს. ოპორტუნიზმი სწორეთ ამ წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტებს ემყარება მუშათა კლასში და მათი შემწეობით ატარებს იქ ბურჟუაზიის გავლენას.

ეს წვრილ ბურჟუაზიული ნაწილები არასოდეს არ დაპირდაპირდებიან ბურჟუაზიას პრინციპიალურათ, ისინი მასთან ერთ ნიადაგზე იდგენ და კლასთა ბრძოლის ნაცვლად მხოლოთ სან[...]ო ბრძოლას აწარმოებდენ. დამარცხებულნი ამ ბრძოლაში, ისინი მაინც ვერ ფხიზლდებიან და კლასთა ბრძოლის ნიადაგზე ვერ გადადიან. ისინი ახალ მდგომარეობაშიაც განაგრძობენ თავის ძველებურ შეთანხმება—შეგუების პოლიტიკას.

ოპორტუნიზმი ამ პოლიტიკას უმეტნაკლებოთ გამოხატავს. ის მხარს უჭერს ბურჟუაზიას ყოველ დროს, როგორც დამოუკიდებლობის საკითხში. მხარს უჭერს მის აგრესიულ, იმპერიალისტურ და ნაციონალისტურ პოლიტიკას. ოპორტუნიზმი ნაციონალურ საკითხში ხელ-აღებით უერთდება თავისი ბურჟუაზიის ნაციონალიზმს.

დამოუკიდებელ ქვეყანაში შეიძლება დიდხანს არ გამოაშკარავდეს, თუ რა ახლო ნათესაობა სუფევს ოპორტუნიზმსა და ნაციონალიზმს შორის. მაგრამ საკმარისია რომელიმე საკითხი გასცდეს საკუთარ სახელმწიფოს საზღვრებს და ის ინტერნაციონალურ ნიადაგზე დაისვას, რომ ოპორტუნიზმმა მყისვე აიღოს ხელი ინტერნაციონალიზმზე და სავსებით ჩაეფლოს ნაციონალიზმის ჭაობში.

მსოფლიო ომმა ცხადყო ამ მოსაზრების საფუძვლიანობა. ოპორტუნისტ პლეხანოვს ვერვინ ვერ უკიჟინებდა ნაციონალისტობას. მაგრამ რას წარმოადგენს ის დღეს, თუ არა უკიდურეს ნაციონალისტს? იგივე ითქმის ევროპიულ პარტიების ოპორტუნისტებზე.—მათ ყველამ უღალატეს ინტერნაციონალს და მიეკედლენ ბურჟუაზიას. ოპორტუნიზმი სავსებით განაციონალისტდა. მართალია, ამ ნაციონალისტურმა ტალღამ ბევრი რადიკალიც ჩაითრია, მაგრამ ეს მოწმობს მხოლოთ, რამდენათ ძლიერია ბურჟუაზიის გავლენა მის მოწინააღმდეგე კლასზე.

ერის თვით-გამორკვევას გადაჭრით ემხრობა პროლეტარიატი და ამაში არავითარი ნაციონალიზმი არ არის, მაგრამ თუ აქაც მან არ დაიცვა თავისი კლასობრივი დამოუკიდებლობა და შეურიგებლობის ნაცვლათ ბურჟუაზიასთან შეთანხმება-შერიგება აწარმოვა, ის აუცილებლათ ჩავარდება ოპორტუნიზმში და ოპორტუნიზმი კი პირდაპირი გზაა ნაციონალიზმისაკენ.

ერის თვით-გამორკვევით პროლეტარიატი ლახვარს სცემს იმპერიალიზმს, უმზადებს ნიადაგს. პროლეტარიატმა თუ თვითგამორკვევასთან ერთათ საკუთარი კლასის თვით-გამორკვევა არ აწარმოვა და სხვა ერის ბურჟუაზიასთან ბრძოლას საკუთარ ბურჟუაზიასთან ბრძოლა არ დაურთო, ის აუცილებლათ ჩავარდება ნაციონალიზმის ჭაობში და მის ძალას სავსებით გამოიყენებს ბურჟუაზია თავის სასარგებლოთ.

ოპორტუნიზმი და ნაციონალიზმი მჭიდროთ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, ისინი ერთი მეორეს ავსებენ. ეს ერთი ფრთაა მოძრაობისა, რომელიც ემყარება მუშათა კლასის წვრილ ბურჟუაზიულ, ჯერ მასთან შეუსისხლხორცებელ ელემენტებს.

რევოლიუციონური ბრძოლა და ინტერნაციონალიზმი აგრეთვე მჭიდროთ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. ეს მეორე ფრთაა მოძრაობას და ემყარება მუშათა კლასის ჩამოყალიბებულ, კლასთა ბრძოლაში გამობრძმედილ ელემენტებს.

პირველის დროშაა სამშობლოს დაცვა ბურჟუაზიასთან შეთანხმებით; მეორეს დროშაა:

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით ყველა ქვეყნის ბურჟუაზიასთან საბრძოლველათ.

---

## ქართველი მენშევიკების ნამდვილი სულისკვეთება.

ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ გაყალბა ქართველი ხალხის, ე. ი. ქართველ მუშების და გლეხების, თვითგამორკვევა ქართველი მენშევიკების ერთმა საუკეთესო ბელადმა ნ. ჟორდანიამ, თავის მოხსენებაში ეგრეთ წოდებულ „ეროვნულ ყრილობაზე," რომელზედაც თავი მოიყარეს ქართველმა თავად-აზნაურობამ, ქართველმა მემამულეებმა, ქართველმა ბურჟუაზიამ და მენშევიკების ლიდერმა, აი ამ მოხსენებაში ნ. ჟორდანიამ წარმოგვიდგინა იდილიური სურათი მთელი ქართველი ხალხის ერთობის. თითქო ჩვენში არც წინეთ, არც დღეს არ იყვნენ არც მემამულეები, არც უმიწაწყლო და გალატაკებული გლეხები, არც კაპიტალისტები და არც მუშები. იგი ამტკიცებდა, რომ მთელი ქართველი ხალხი ერთნაირათ ფიქრობს, ერთნაირი აზრით არის გამსჭვალული, და ერთი სიტყვით მთელი ქართველი ხალხის თვითგამორკვევა ერთნაირია. აი, ასეთ შეხედულებას ასაღებენ ქართველი მენშევიკები მარქსიზმის სახელით. აშკარაა, რომ ამას მარქსიზმთან არაფერი საერთო არა აქვს რა. ასეთ შეხედულებას იცავდენ ქართველი ფედერალისტები არჩილ ჯორჯაძის მეთაურობით, რასაც ერთ დროს ქართველი მენშევიკები იმავე ნოე ჟორდანიას მეთაურობით სასტიკათ ებრძოდენ.

ამიტომ ჩვენ გადაჭრით ვამბობთ, რომ ქართველი მენშევიკები დღეს დიადი რევოლიუციის ხანაში, სავსებით გასცდნენ ფედერალისტდნენ. მათში მარ-

ქსიზმის ერთი წვეთიც ლარ არის. რა თქმა უნდა, ისინი ენერგიულ პროტესტს აცხადებენ, როცა ჩვენ იმათ ასეთ ბრალსა ვდებთ. მაგრამ ეს მარტო სიტყვებათ რჩება, ჩვენ საქმეებს ვუწევთ ანგარიშს და არა სიტყვებს. ფაქტები კი სწორეთ ქართველ მენშევიკების გასოციალ-ფედერალისტობას ამტკიცებენ და სხვას არაფერს. მეორე მხრით ქართული სოციალ-ფედერალიზმი და მარქსიზმი- ეს ორი სრულიად სხვადასხვა მსოფლ მხედველობაა. ძირითადი განსხვავება ამ ორ მსოფლმხედველობაში ის არის, რომ ქართული სოც.-ფედერალიზმი კლასობრივ, ბრძოლის უარყოფაა, მაშინ როცა მარქსიზმი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, ყველა საზოგადოებრივი მოვლენის ანალიზის საქიეში სწორეთ ამ კლასობრივ ბრძოლაზე ეყრდნობა, ქართველ მენშევიკებს, როგორც მოგეხსენებათ, წინეთ, ასე იყო თუ ისე, სწამდათ და ანგარიშს უწევდენ კლასობრივი ბრძოლის თეორიას.

მაგრამ ეს იყო იმ დროს, როცა საქმე ჯერ კიდევ თეორიას არ შორდებოდა. სრულებით გამოიცვალა მდგომარეობა, როცა ჩვენი მენშევიკები თეორიიდან პრაქტიკაზე გადავიდენ. საკმარისი შეიქმნა რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა იმათ მხრივ პრაქტიკულ ცხოვრებაში, რომ იმათი სოციალ-ფედერალისტური სული სავსებით გამოაშკარავებულიყო. ქართველი მენშევიკები თითქმის სრული თანაგრძნობით შეხვდენ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას, კათალიკოზობის აღდგენას; ყველა ამ ცერემონიებში ისინი მონაწილეობას იღებდენ და რეზოლიუციები გამოქონდათ (მაგ., იმათ შეიტანეს ასეთი რეზოლიუცია თფილისის ქალაქის საბჭოში), ნოე ჟორდანია და აკაკი ჩხენკელი,—ქართული მენშევიზმის ბურჯები, მუხლს იდრეკენ ქართველ თავად-აზნაურობის, ე. ი. ქართველ მემამულეების წინაშე და ქართველ ხალხს უთითებენ ქართველი თავად-აზნაურობის დიად ისტორიულ სამსახურზე ქართველი ერის წინაშე („ეროვნულ ყრილობაზე“). მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ამ მოლიპულ გზაზე ქართველი მენშევიკები თანდათან დაბლა ეშვებიან.

ამ დღეებში გამოქვეყნდა იმათი მოწოდება „ქართველ მხედრობისადმი“. ეს მოწოდება გამოქვეყნებულია ევრეთ წოდებული ეროვნულ საბჭოს მიერ, მაგრამ ამ საბჭოს სრული ბატონ-პატრონები მხოლოთ ქართველი მენშევიკებია, რომლებმაც სამართლიანათ დაიჭირეს ქართველი სოც.-ფედერალისტების ადგილი.

ეს „ეროვნული საბჭო“ ქვეყანას ევლინება, როგორც საქართველოს „მთავრობა“. ამ მთავრობას ყავს, როგორც ხედავთ თავის „მხედრობა“, რომლის გამგე (ანუ პატარა „მინისტრი“) ნოე რამიშვილია. ჯერ კიდევ არ გამშრალა ის მელანი, რომლითაც ეს ვაჟბატონები სწერდენ და ამტკიცებდენ, რომ ქართველი პოლკების შექმნა ჯერ-ჯერობით მაინც, მსოფლიო ომის ცეცხლში და დიდი რევოლიუციის დასრულებამდე არა თუ უადგილო და დროს შეუფერებელია, არამედ პირდაპირ კონტრ-რევოლიუციონური ზომა იქნებაო. და თუ დღეს ეს ვაჟბატონები ქმნიან ქართველ მხედრობას, ისინი მოუწოდებენ ქართველ ჯარისკაცებს, დატოვონ ის ადგილები, რომლებშიაც ისინი დღეს იმყოფებიან, გამოეთიშონ თავის ტოლ-ამხანაგებს, რუსებს, სომხებს და სხვებს, რომლებთანაც იმათ ღვარეს სისხლი, და გამოეცხადონ რამიშვილებს და ჟორდანიებს.

რისთვის, რა მოხდა? იკითხავს მკითხველი.—„ბოლშევიკების აგიტაციის წყალობით ფრონტები ჯარისაგან იცლება. რუსის ჯარის კაცები სახლში მიეშურებიანო“,—გაიძახიან მენშევიკები. ისინი ურცხვათ იმეორებენ უნამუსო ჭორებს, ხალხს რომ მობეზრდა უაზრო სისხლის ღვრა კაპიტალისტ-მტაცებლების სასარგებლოთ და აღარ უნდათ ამ ძმათა შორის სისხლის ღვრის გაგრძელება,—ამაში ისინი ბოლშევიკების აგიტაციას ხედავენ. და მერე რა საშუალებით ებრძვიან ქართველი მენშევიკები ამ მოვლენას? მით, რომ ქართველ ჯარის კაცებს მოუწოდებენ მიატოვონ თავიანთი ნაწილები და თფილისს მოაწყდენ. აშკარაა, რომ ქართველ მენშევიკებს აწუხებს არა ის გარემოება, რომ ფრონტი ჯარისაგან იცლება და რუსის ჯარის კაცები სახლში მიეშურებიან, არამედ სხვა რამე. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ნ. ჟორდანია და ნ. რამიშვილი სულ სხვა მოწოდებით მიმართავდა ქართველ მხედრობას, მაშინ ისინი მიმართავდენ ქართველ ჯარისკაცებს და მოუწოდებდენ, რომ იმათ არ დატოვონ ფრონტი, არ გამოეთიშონ თავის ამხანაგებს. ე. ი. რუსებს, სომხებს და სხვებს. აშკარაა, არა ფრონტის დაცლა აწუხებს ქართველ მენშევიკებს და არც ის გარემოება, რომ რუსეთის ჯარი სახლში მიეშურება, შეიძლება ეს უკანასკნელი მოვლენა კიდევაც ახასიათებს მათ. ქართველ მენშევიკებს აწუხებს და აფიცხებს ის გარემოება, რომ ჩვენშიაც მარცხდება მენ-ზმი და ძლიერდება ბოლ-ზმი. და აი ქართველ მხედრობაში ისინი ეძებენ საშუალებას ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველათ. ქართველ მენშევიკების სულისკვეთებას თანდათან ფარდა ეხდება.

ფ. მ.

---

## კერენსკის „შეცდომები“.

კერენსკის მთავრობა დაემხო. მის დაცვას ახლა აშკარა კონტრ-რევოლიუციონერებიც ვერა ბედავენ. ისინი მხარს უჭერდენ და ფეხქვეშ ეგებოდენ კერენსკის, სანამ ის მაგრათ ბორკავდა ხალხის თავისუფლებას, ხოლო როცა დაინგრა ეს კონტრ-რევოლიუციის სამაგრე, მათ სხვა ციხეებს მიაშურეს, დამფუძნებელი კრების გარშემო იწყეს თავის მოყრა და აქედან აპირებენ რევოლიუციის დასამარებას.

დამახასიათებელია, რომ კერენსკის გარშემო თავის მოყრაც მიზნათ ისახავდა სიტყვით რევოლიუციის დაცვას, საქმით კი მის დასამარებას. კერენსკის მთავრობის ერთგულ დამცველათ გამოვიდა ყველა პარტია დაწყებული კადეტებიდან და გათავებული მენშევიკ-ესერებით. მხოლოთ ბოლშევიკები უდგენ ამ მთავრობას კრიჭაში, მხოლოთ ისინი ეწეოდენ მის წინააღმდეგ მედგარ ბრძოლას, რაიცა გათავდა კერენსკის მთავრობის სრული დამხობით.

მენშევიკ-ესერებმა სცადეს რევოლიუციონური ხალხის მიერ განწირული კერენსკის გადარჩენა, მაგრამ კერენსკის დამხობა ისე სწრაფათ მოხდა, რომ ამ პარტიებმა ველარ მოასწრეს სავსებით გადაეშალათ თავისი მაჭანკლური როლი რევოლიუციის და კონტრ-რევოლიუციის შერიგების საქმეში. რევოლიუციამ ბრწყინვალეთ გაიმარჯვა და შეთანხმება-დალალობის პარტიებს პირში ჩალა გამოავლო.

კერენსკის სახელი ახლა კონტრ-რევოლიუციის სინონიმია. მას ზურგი აქციეს მისმა გუშინდელმა მოკავშირეებმა და უტიფრათ გაიძახიან: კერენსკი ღირსი იყო ჩამოგდების, როდის იყო, რომ ჩვენ მას მხარს ვუჭერდითო?

ამ ენით ლაპარაკობს, მაგალითათ, მენშევიკების „ერთობა“. „როდის იყო, რომ ჩვენ კერენსკის მთავრობის შეცდომებს ხელი დავაფარეთ“? კითხულობს ის („ერთობა“ № 223).

ჩვენ მოვაგონებთ გულმავიწყ ვაჟბატონებს, როდის და რაში გამოიხატა მათის მხრით ხელის დაფარების გარდა აქტიური მხარის დაჭერა კერენსკის მთავრობისა.

კერენსკიმ დაიწყო შეტევის პოლიტიკა, მენშევიკებმა კრინტი არ დასძრეს მის წინააღმდეგ, სანამ კერენსკი თვით შეტევაზე არ გადავიდა. მაშინაც ერთი უკბილო სტატია ძლივს გაიმეტეს, და შემდეგ სამუდამოთ დადუმდენ ამის შესახებ.

კერენსკიმ სიკვდილით სასჯელი აღადგინა. ამ სამარცხვინო აქტს ხელი მოაწერა მენშევიკების ლიდერმა და კერენსკის მაფჯვენა ხელმა წერეთელმა. მენშევიკებმა კი კრინტი არ დასძრეს ამის წინააღმდეგ.

კერენსკიმ გაილაშქრა პროლეტარიატის წინააღმდეგ, მენშევიკმა წერეთელმა თავისი ხელით აყარა იარაღი რევოლიუციონერ მუშებს, მენშევიკებმა აქაც კრინტი არ დასძრეს ამ აშკარა კონტრ-რევოლიუციონური ნაბიჯის წინააღმდეგ.

კერენსკიმ გამოუშვა მთელი ხროვა ცილისმწამებელთა და მიუსია ისინი ბოლშევიკებს. ჩვენ დაგვწამეს გერმანიის აგენტობა, პროვოკატორობა, ჯაშუშობა. მენშევიკები სავსებით შე უერთდენ ამ უნამუსოების ჯირითს და თავის გაზეთებში ეს ცილის წამება დამტკიცებულ ფაქტათ აღიარეს.

კერენსკიმ სრული თავისუფლება მისცა კონტრ-რევოლიუციონერებს, სამაგიეროთ ათასობით დაატუსაღა მუშები, სალდათები და გლეხები. მენშევიკები აქაც სავსებით ეთანხმებოდენ კერენსკის.

კერენსკიმ დახურა მუშების და სალდათების გაზეთები. ჩვენ მოუწოდეთ მენშევიკებს პროტესტი გამოეცხადებიათ ამის წინააღმდეგ. მათ სიცილათ არ ეყოთ ჩვენი წინადადება.

რომელი ერთი მოვთვალოთ. კერენსკის მთავრობის მთელი მოქმედება იყო ბურჟუაზიასთან შეთანხმება—შერიგება და მშრომელი ხალხის დაჩაგვრა—დამონავება. მენშევიკები შედიოდენ ამ მთავრობაში და თვით აკეთებდენ იმ შავბნელ საქმეებს, რომლებსაც დღეს „შეცდომებს“ უწოდებენ. არა, ეს არ იყო „შეცდომები“, ეს მთელი სისტემა იყო, რომელიც სამარეს უთხრიდა რევოლიუციას და ამაგრებდა კონტრ-რევოლიუციას.

დღეს რევოლიუციამ გაიმარჯვა. კერენსკი დაემხო და მასთან ერთათ დაემხო მისი მხარის დამჭერი მენშევიკ-ესერების მოღალატური პოლიტიკა. სისტემა დაემხო და არა ცალკე შეცდომები. კერენსკის ბედი ყველა მისი მომხრეების ბედია.

---

## კაუცკის აზრი რუსეთის რევოლიუციაზე.

ჩვენი „მარქსისტებისათვის, როგორც გაერთიანებული ს. დ. პარტიიდან“ ისე გაერთიანებულ ინტერნაციონალისტებიდანაც უცილებელ აქსიომათ ითვლება, რომ ჩვენი რევოლიუცია ბურჟუაზიული ხასიათისაა. ყველა, ვინც კი ამაში ეჭვს შეიტანს, მართლ მორწმუნეობის მო ლატეთ, მწვალებლათ და მაქსიზმ დან განდგომილათ ითვლება. მათ აბრა ლებენ ანარქიზმს, სინდიკალიზმს და კ დევ სხვა „იზმსაც.“ ამიტომ მეტათ ს ყურადღებოა გავეცნოთ, თუ როგორ აქ ვთ კითხვა დაყენებულ-გარკვეული მ ვის ავტორიტეტს კიდევ ჩვენი მოწინა ლმდეგენი ჯერ შეურყევლად სცნობ ჩვენ სახეში გვაქვს ჟურნალ „ლეტ პისის„ უკანასკნელ ნომერში მოთავ ბული კარლ-კაუცკის წერილი სათაურ „რუსეთის რევოლიუციის პერსპექტ ვები.“ ეს სტატია მით უფრო საინტ რესოა რომ იგი ოქტომბრის აჯანყ ბამდეა დაწერილი.

ბევრი ცოდვა მიუძღვის კაუცკის სოციალისტურ ინტერნაციონალის წინაშე. დიდი მავნებლობა მოუტანა საერთაშორისო პროლეტარიატს საერთოთ და გერმანიისას კერძოთ ომის დროს მის მიერ დავალებულმა სოციალ-პატრიოტულმა პოზიციამ, მაგრამ ის ამით მარქსისტულათ კითხვების დაყენებას მაინც არ გადაჩვევია. კაუცკი იმ დებულებიდან გამოდის, რომელიც გვეუბნება, რომ „რუსეთში ამტყდარი რევოლიუცია და საწყისიდანვე უმთვრესათ პროლეტარულია.“

მერე კითხვას აყენებს:„ შესძლებს, თუ ვერა შეირჩინოს მან ასეთი ხასიათი შემდეგშიაც ქვეყნის ეკონომიურათ ჩამორჩენის გამო?“

და აბა ნახეთ, თუ როგორი სიფრთხილით ეკიდება კაუცკი ამ კითხვას:

„პროლეტარიატს,- ამბობს იგი-აუცილებლათ სჭირდება ორი რამ: დემოკრატიზმი და სოციალიზმი., დემოკრატია უსოციალიზმოთ პროლეტარიატის ეკონომიურათ დამოკიდებულებას ხელუხლებლათ ტოვებს,“

და მერე რას ამბობს კაუცკი ამის გამო? ხომ არ ამტკიცებს, რომ „სოციალიზმის შემოღება“ ქვეყნის ეკონომიურათ ჩამორჩენილობას ძალით შეუძლებელია?

არაფერს ამის მსგავსს ის არ ამბობს. კაუცკი მხოლოთ გვიჩვენებს, რომ „სოციალიზმის შემოღება უცბათ არსად არ შეიძლება და ზომები, რომლის საშუალებითაც ის უნდა განხორციელდეს სრულიათ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენათ არის განვითარებული კაპიტალიზმი.“

კაუცკის უნდა თქვას, რომ ფიქრიც არ შეიძლება იმაზე, რომ რუსეთშიაც ისე, როგორც სხვა რომელიმე ქვეყანაში სოციალიზმი დაუყონებლივ შემოვიღოთ, ხოლო რაც შეეხება აუცილებელ და საჭირო ზომებს მის შემოსაღებათ, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სიმაღლეზეა ასული განვითარება ქვეყნის მართველობის ძალ-ღონისა.

კითხვის მხოლოთ ასე დაყენება შეეფერება მარქსიზმს. იქვე გარეშეა-განაგრძნობს კაუცკი-რუსის კაპიტალიზმი ძალიან ცოტა დასაწყისს იძლევა, რომ იქედან სოციალისტური წყობილების შექმნა შეიძლებოდეს. მაგრამ მაინც იქაც შესაძლებელი გახდა, რომ ამ მხრით შესამჩნევი ნაბიჯები გადაედგათ ზოგი მსხვილი წარმოების და რკინის გზების სახელმწიფოს საკუთრებათ გადაქცევის საშუალებით. თითქო ეს რუსეთში ჯერ არც მოუხედნიათ, რომ ხაზინის ხელში გადასულიყო, მაგალითათ სამთა. მადნო მრეწველობა: ქვანახშირის, ოქროსი, ნავთის და აგრეთვე ზოგი მძიმე ინდუსტრიალური დიდი მრეწველობაც: შემდეგ შეიძლებოდა მოეხდინათ დღევანდელი დინასტიის და სამონასტრო მამლების კონფისკაცია, მემამულეებ

...ების სახელმწიფოს მიერ შეძენა და ...ოლოს ქალაქების ხელში მიწების გადა..., რომ ზედ იაფი და საღი ბინები ...ება, აგებული მცხოვრებთათვის და ...ზედ სასურსათო საგნები მოი...ნონ ქალაქებისათვის.

კაუცკი რამდენიმე რეფორმას კიდეს ...ახელებს მუშათა კლასის ინტერესების ...ცველათ და შემდეგ სწერს: ყველა ...ებს, სწორეთ რომ ვთქვათ, ბურჟუა...ული რეფორმების პროგრამა შეიძლება ...წოდოთ და არა პროლეტარულ—რე...ლიუციონური. მაგრამ მთელი ძალა ...ქ რაოდენობაშია და იზრდება რა აქ ...ოდენობა იგი ხდება თვისებათ.

„სრულიათ ბუნებრივი იქნება თუ პრო...ლეტარიატი შეეცდება,-როგორც კი ფეხ...ქვეშ ნიადაგის გამაგრებას იგრძნობს, ...მოიყენოს თავისი რევოლიუციონური ...ლა აქ ნაჩვენები გზით და თუ ის ამ ...როს—კაპიტალისტებისა და მემამულე...ების მხრით დიდ წინააღმდეგობას წაა...ყდება, მისი შედარებით ძალ-ღონეზე ...ნება დამოკიდებული, თუ რამდენათ ...აღწევს იგი მიზანს და თავის მოთხო...ვნებს განახორციელებს.“

კაუცკი ქვევით იმ საწინააღმდეგო ...აზრებასაც აბათილებს, რომელიც ...ვიუბნება, რომ რუსეთის ქალაქის ...პროლეტარიატის რიცხვი მეტათ მცირეა; ...ა სოფლის მცხოვრებთა პოლიტიკური ...მნიშვნელობა მათი რიცხვის სიმრავლეს...თან შედარებით შეუფერებელი და ...ცილებით უფრო მცირეა, ვიდრე ...ქალაქელების. „ასეთი შეუფერებლობა ...ყველა ქვეყნებშია შენიშნული, თუმცა ...ჩამორჩენილებში უფრო მეტათ, ვიდრე ...წინაურებულები. რუსეთის ქალა...ქებში, განსაკუთრებით დიდ ცენტრა...ლურ ქალაქებში, პროლეტარიატი ახლაც ...ვე გადამწყვეტ როლს ასრულებს.“

მაგრამ კაუცკი სავსებით აძლევს ან...გარიშს თავის თავს იმაში, რომ სოფ...ლის მცხოვრებლებზეა დამოკიდებული, ...თუ პროლეტარიატი რამდენათ შერჩება ...მ ძლიერ პოზიციას, რომელიც დღეს ...ს უკავია“.

გადამწყვეტი, საბოლოვო სიტყვა მა...ინც გლეხკაცობას ეკუთნის. თუ გლე...ხები მიწებს მიიღებენ, ამით ისინი რე...ვოლიუციის ერთგული დარჩებიან, მაგ...რამ ეს კიდევ არ გვეუბნება იმას, ამ...ბობს კაუცკი, თუ როგორ მოიქცევიან ...ისინი იმ შემთხვევაში, თუ ამავე რე...ჟიმის დროს კონფლიქტი ჩამოვარდება ...ბურჟუაზიულ და პროლეტარულ ელე...მენტებს შორის“.

გლეხები კი არმიის პოლიტიკას გან...საზღვრავენ. „ის კლასი, რომელიც არ...მიის შედგენილობას განსაზღვრავს, არის ...გლეხკაცობა.. რევოლიუციონურ ეპო...ქებში საფრანგეთშიაც ისე როგორც ...რუსეთში უბრალო სალდათის სულიერი ...განწყობილება ჯარში ვითარდება პა...რალელურათ გლეხკაცობის სულიერ გან...წყობილების განვითარებასთან.

კაუცკისთვის გლეხკაცობა „რუსეთის ...რევოლიუციის ასპარეზზე გამოსული გა...მოცანას შეადგენს რაც ჯერ მისთვის ...სრულიათ აუხსნელია“. კაუცკი მხოლოთ ...ჩქარით ეხება რუსეთის სოფელში ...გლეხკაცობის კლასიურ დიფერენციაციის ...კითხს: „გაპროლეტარებულ და შეძ...ლებულ“ ნაწილების ურთიერთობას. ...მაგრამ სწორეთ ამ ელემენტებს შორის ...ჩამოვარდნილი კონფლიქტის გაღვივება ...წარმოადგენს დედა ბოძს, რომელზედაც ...რევოლიუციის შემდეგი განვითარება ...არის დამყარებული. გლეხკაცობის ულ...ტიმესი ნაწილი და არმია უჭერენ მხარს ...პროლეტარიატს და არა „შეძლეაული“ ...გლეხები, რომლებსაც რუსეთში „კულა...კებს“ უწოდებენ.

რამდენათაც სწრაფი პროცესი გა...ნთავისუფლდება ეს ულარიბესი ნაწილი გლეხკაცობისა ბურჟუაზიის გავლენისაგან, იმდენათ გამტკიცდება პროლეტარიატის დიქტატურა რუსეთში და იმდენათ წინ წაიწევს სოციალისტური რევოლიუციის დიადი საქმე.

ჯერ ისევ 1907 წელში სწერდა კაუცკი მაშინ რუსეთში ამტყდარ მუშების და გლეხების პირველ აჯანყებაზე მეფისა და კაპიტალის წინააღმდეგ.

„ჩვენ ძალიან კარგს ვიზამთ, ამბობდა კაუცკი, თუ შევითვისებთ იმ აზრს, რომ ახლა (პირველი აჯანყების დროს რუსეთში) ჩვენ წინაშე იშლება ისეთ ისეთი მდგომარეობა და მიზანი, რომელთა გამოსარკვევათ არც ერთი წინანდელი ძველი შაბლონი აღარ გამოგვადგება.

ჩვენ უფრო სწორათ დავაფასებდით რუსეთის რევოლიუციას და მის მიზნებს რომელსაც ის გვიქადის იმ შემთხვევაში, თუ მას შევხედავდით ისე, როგორც არა ბურჟუაზიულ რევოლიუციის დიადი. გრანდიოზული მნიშვნელობით და არც ისე, როგორც სოციალისტურს, არამედ როგორც სრულიათ განსხვავებულ თავისებურ პროცესს, რომელიც ხდება ბურჟუაზიულ და სოციალისტურ საზოგადოების საზღვარზე. და ეს პროცესი, ერთის მოსპობას რომ ხელს უწყობს, მეორეს მაშინ ნიადაგს უმზადებს და ყოველ შემთხვევაში ძალიან შორს მიყავს მთელი კაცობრიობა კაპიტალისტური ცივილიზაციის განვათარების გზაზე.

თორმეტი წლის შემდეგ კაუცკი კვლავ ეხება რუსეთის ახალ რევოლიუციას და გვაძლევს ჩვენ მის უფრო მეტათ განსაზღვრულ დახასიათებას.

დე ჩაუფიქრდენ ამ გარემოებას ჩვენი ვითომდა „მარქსისტები“!

---

## რევოლიუცია თუ კონტრ-რევოლიუცია!..

განმათავისუფლებელი მოძრაობა საერთაშორისო ომიანობის დროს მოხდა. ეს გარემოება ყველა მეომარ სახელმწიფოების იმპერიალისტურ მთავრობებს დიდ იმედს აძლევდა. მათი ფიქრით, რევოლიუცია ვერ დასძლევდა საერთო ომს და ზარბაზნების ქექა-გრიალში დალევდა სულს! ერთხელ ხალხის მტერს პავლე მილიუკოვსაც კი წამოსცდა: „ან ომი შესჭამს რევოლიუციას და ან რევოლიუცია ომსო“. და, რომ ეს უკანასკნელი არ მომხდარიყო, მილიუკოვის მთავრობა ყოველ ღონისძიებას ხმარობდა ხალხის თავისუფლება სისხლში ჩაეხრჩო. რკინის, თვითმპყრობელური „დისციპლინის“ აღდგენა, რევოლიუც. დემოკრატიის საშინელი დევნა-აწიოკება, დატუსაღება რევ. გლეხთა კომიტეტების! შეტევის დაწყება, სიკვდილით დასჯა და სხვა ასეთი საშვალებანი იმპერიალისტურ მთავრობას მხოლოთ და მხოლოთ ხალხის თავისუფლების დასამარხავათ უნდოდა. და ეს გარემოება მით უფრო სავალალო და სატირალია, რომ ყველა ამ ვაკხანალიაში „სოციალისტებსაც“ ხელი ერიათ, სადაც ოდესღაც მედგარი მებრძოლნი ჩხეიძე-წერეთელი და ჩერნოვ-კერენსკები ბრძანდებოდენ. ჩვენ არას ვიტყვით იმაზე, თუ როგორ დაიმარხა საკუთარი ხელით ამ საცოდავმა ხალხმა თავი რევ. დემოკრატიის თვალში. ამ ზე ბევრი თქმულა. ვიტყვით მხოლოთ მას, რომ სრულიათ რუსეთში კონტრ-რევოლიუციონერ მილიუკოვ-კერენსკის აზრები აღარ გაუმართლდათ. იქ ჩვენს რევოლიუციას სანეტარო გამარჯვება ხვდა წილათ; იქ დიდი ხნით ტანჯულმა მუშამ და ლატაკმა გლეხმა მიაღწიეს თავის საწადელს.

შიდა რუსეთში კონტრ-რევოლიუციონერთა ძალები აილაგმა. იქ ყოველგვარი მათი ცდა ამაო შეიქნა. მაგრამ ნუ იტყვით! თუ კონტრ-რევოლიუცია ერთ ფრონტზე დამარცხდა, ის მეორე ფრონტისაკენ გამოეშურა. მან თავისი ძალების მობილიზაცია მოახდინა სამხრეთ-რუსეთში, ჩრდილოეთ და ამიერ კავკასიაში! კარაულოვი, კალედინი, დუტოვი, კორნილოვი, პრჟევალსკი. დონსკოი. აი ის შავი ასოებით დაწერილი სახელები, რომელნიც შავი ლაქით აღიბეჭდება მსოფლიო ისტორიაში. აი ის ხალხი, რომელიც კადეტების პარტიის გავლენის ქვეშ მოექცა, მის ფრთებს თავი შეაფარა და ხალხის განმათ. რევოლიუციის წინააღმდეგ აგერ 8 თვეა შეთქმულებას ამზადებდენ. დიაღ! ისინი ჩაესაფრენ რუსეთის რევოლიუციას, მათ გადიბირეს, დაატყვილეს ბრმა ყაზახობა და ჯარისკაცები. მათ შეკრეს „შავი ბლოკი“ და რუსეთის თავისუფლების ჩახრჩობას ლამობენ. მათ კარგათ იციან, რომ სამხრეთ რუსეთის დაჭერით შიდა რუსეთს საშინელი შიმშილი მოელის სათბობი მასალით, (ქვანახშირით) ხოლო. ჩრდილო-კავკასიის დაჭერით (რკინის გზების აყრით) ამიერ კავკასიას სიცოცხლე არ შეუძლია, რადგან აქ მხოლოთ ჩრდ. კავკასიიდან მოდის უსაჭიროესი სურსათი—პური!.. ეს მათ კარგათ იცოდენ და ამიტომ საქმესაც შეუდგენ. მართალია ამ მიდამოებში მრავალი წარმოებაც არის, მაგრამ ამავე დროს მეტათ ჩამორჩენილი მასსაც ბინადრობს. (კაზახობა, ჩეჩნები, ინგუშები და სხვა.) აი სწორეთ კონტრ-რევოლიუციაც აქ დაბინავდა. მერე როგორ შეებრძოლა მას ამიერ კავკ. ცენტრალური მთავრობა? როგორ გამოეხმაურა ამ საშინელებაზე, რუს. ცენტრ. მთავრობას უკრ. რადა? რა ზომები მიიღო კავკ. არა მკითხე მთავრობამ, კომისარიატმა? სრულიათ არაფერი... მაგრამ რას ვამბობ? არა თუ არაფერი! პირ იქით მას გვერდითაც კი ამოუდგა. მასთან კავშირი შეკრა და ყოველგვარი დახმარებაც აღმოუჩინა. ჩვენი მენშევიკ-ესერ - ობორონცობა ყურსაც არ აბარტყუნებდა ამ მომავალ უბედურებაზე. ის პირიქით ხელს უწყობდა კონტრ-რევოლიუციონერებს. აი სად მარხია მათი „მოღვაწეობა“. აი რის წინაშე უნდა აგონ პასუხი ამ გამყიდველებმა. რევოლიუცი მ ცენტრში გაიმარჯვა. გაიმარჯვებს ის პერიფერიებშიაც. მუშის და გლეხის მაგარი მკლავი, რომელიც სამუდამოთ ერთი მეორეს შეუერთდა რუსეთში დასძლევს კონტრ-რევოლიუციას. მართალია ცენტრიდან რუსეთის კონტრ-რევ. გენერლები ჩვენსკენ გამოემგზავრენ, აქ გააჩაღეს ძმათა-შორის სისხლის ღვრა, ბევრგან დამარცხდენ და ბევრგანაც დამარცხდებიან, მაგრამ ჯერ კიდევ კონტრ რევოლიუცია მაინც მძინვარებს. მას ებრძვის რუსეთის რევოლიუციონური ჯარი. ებრძვის რუსეთის უმეტესობა! ჩვენ გვწამს, რომ არც უკრაინის რევ. ხალხი წამოეგება ბურჟუაზიულ რადის ვადასროლილ ანკესზე. არც კავკასიის მშრომელი დემოკრატია დარჩება ციფათ და ყრუთ სახ. კომისარების მოწოდებებზე. მშრომელი მასსა შეერთდება ერთ საკუთარ დროშის ქვეშ! დაგმობს არამკითხე ბატონებს, რომელნიც ჯერ კიდევ ბატონობენ და რევოლიუციის გამარჯვებას დააგვირგვინებს. კონტრ-რევოლიუციონერები კოტრდებიან. მათი ნებით თუ უნებლიეთ მიმყოლნი კი გაკოტრდენ!..

გაუმარჯოს რევოლიუციას!

გაუმარჯოს სახალხო კომის. საბჭოს!.

**გედი-მ-სტი.**

---

# მუშათა ფერილეები

—

## ვინ არიან დამნაშავენი?

ნათქვამია „ჩემი შენ გითხარიო გულო მოგიკალიო“ სწორეთ ასე ითქმის ჩვენ მენშევიკებზე. მკითხველს კარგათ ეხსომნება ის სიტყვები, რაც წარმოსთქვა მათმა ბელადმა, ნ. ჟორდანიამ ბალშევიკების გამოსვლის შესახებ. „ბალშევიკების გამოსვლას ნიადაგი მოუმზადა კოალიციის მთავრობის უმოქმედობამ“.

ამ სიტყვებით აშკარათ იგულისხმება ის, რომ კოალიციის მთავრობა სათანადოთ ვერ მოქმედებდა მშრომელი ხალხის კეთილდღეობისთვის. მაგრამ ჩვენი მენშევიკები მაინც არ ეთახმებიან ამ ჭეშმარიტ ფაქტს და სცდილობენ როგორმე თავიანთი ცოდვა ბალშევიკებს მოახვიონ თავზე. რუსეთის რევოლიუციას სათავეში ჩაუდგნენ პირველ დღიდანვე მენშევიკ-ესერები. რადგანაც რევოლიუცია უმაგალითო გამარჯვებით იქნა დაგვირგვინებული, მთელი რუსეთის მცხოვრები, განურჩევლათ კლასობრივი დამოკიდებულებისა, სიხარულით შეხვდა ამ გამარჯვებას. არავისგან არავითარი პროტესტი, არავითარი საბოტაჟი, არავითარი ბოიკოტი არ ყოფილა წარმოშდგარი ეს იმიტომ, რომ გაბატონებული კლასები მეტათ მოხარულნი იყვნენ, რომ სათავეში მათი მოძმენი იყვნენ მოქცეულნი და მათთვის რა საკვირველია, ცუდს არაფერს მოინდომებდნენ. წვრილი ვაჭარი, ჩინოვნიკობა, ინტელიგენცია, სამღვდელოება, ჩარჩი ვაჭარი, სპეკულიანტი ყველა ეს თბილი კომპანია კმაყოფილათ გრძნობდა თავს, რადგანაც იცოდნენ ახალი მთავრობა არ მოუსპობდა მათ თბილ ადგილებს და არ შეზღუდავდა უფლებებში, მშრომელი ხალხიც ამ ზემოთ ჩამოთვლილ პარაზიტებს მისდევდა კვალში და ფიქრობდა: „დროებით რაც ამათ, ის ჩვენაო“ პირველები შეგნებულათ ეპყრობოდნენ საქმეს, მეორენი კი მისდევდენ ფეხის ხმას. ვისგან უნდა ყოფილიყო პროტესტისა და საბოტაჟის გამოცხადება? ყველა მხრიდან უგზავნიდნენ მთავრობას მისალოცავ დეპეშებს, უთვლიდნენ სალამს და უსურვებდნენ ხანგრძლივობას. მთავრობა „მუშაობდა“. ხალხი სდუმდა და გულმოდგინეთ ელოდებოდა ცხოვრების გაუმჯობესებას.

ახლა ავიღოთ მთავრობის ნაწარმოები და მისი გადადგმული ნაბიჯები. პირველ ყოვლისა უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ რუსეთის ეკონომიური და სასურსათო საქმე ისე არ იყო მაშინ აწეწილ დაწეწილი, როგორც დღეს ვხედავთ ამას. მაშინდელი მთავრობა უფრო უკეთეს დროს მოექცა სახელმწიფოს სათავეში, ვინემ დღეს. ახლა შევეხოთ მათ „ნაღვაწს“. 11 მარტს 1917 წ. მან გამოსცა მანიფესტი ზავის შესახებ, რომელიც მოუწოდებდა მთელ ქვეყანას მშვიდობიანობის აღსადგენათ. ხალხი დიდის სიხარულით შეხვდა ამ ნაბიჯს, ჯარისკაცები დღე დღეზე ელოდებოდენ სახლებში დაბრუნებას. ამან მთლათ დაუკარგა ჯარს ბრძოლის უნარი, რაც საკმაოთ დაეტყო ფრონტის ნაწილებს, სადაც გახშირდა ერთი ერთმანეთს შორის დაძმობილება ჩვენ და მოწინააღმდეგე ჯართა შორის შეწყდა კიდევაც დროებით სისხლის ღვრა, მხოლოთ აქა იქ ხდებოდა პატარ-პატარა შეტაკებები. ეს ურთიერთ შორის ძმური განწყობილება არ მოსწონდათ მხოლოთ მილიტარისტებს, ოფიცრებს, გენერლებს და სხვ. ავრცელებდენ სხვა და სხვა ჭორებს და ბოლოს დაგმეს კიდევაც ეს ახალი მთავრობის მიღებული ზომა.

18 ივნისამდე გასტანა ამ ამბავმა. ხალხი, ჯარი, გაღატაკებული კლასები თუმცაღა განიცდიდენ აუტანელ ნაკლებულებას, მაგრამ მაინც სდუმდენ ელოდებოდნენ ცვლილებას. და აი მოხდა კიდევაც ცვლილება 14 მარტის და 18 ივნისის შორის. მოკავშირენი არ დაგვეთანხმენ ზავის პუნქტებზე და დაიწყო ისევ შეტევა მთავრობის და კერენსკის პრიკაზის მეოხებით, ხალხმა დაინახა, რომ მოსტყუვდა, გაუცრუვდა იმედები, იფეთქა აქა იქ შიმშილის ნიადაგზე აჯანყებამ, ჯარში შეიჭრა, გვაცნობეს კიდეც რომ რამოდენიმე პოლკები დანებდენ მოწინააღმდეგეების ჯარსო და არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწიესო და აირია ქვეყანა. გაგრძელდა ისევ საშინელი ომი, მაგრამ ხალხი წინანდებულათ აღარ სდუმდა. 3-5 ივლისს მოიწადინეს კიდეც მთავრობის დამხობა, მაგრამ რადგანაც კიდევ არ იყვნენ დარწმუნებული ბალშევიკების ერთგულებაში, ხალხს არ შესწევდა იმდენი ძალა მოეყვანა სისრულეში თვისი განზრახვა.

მეორე მუხლი მთავრობის საქმიანობისა. მაშინ როდესაც მთელი გლეხკაცობა სულს ლაფავდა უმიწობით და ჩვენი რუსეთი, როგორც პურის ქვეყანა დაუყოვნებლივ თხოულობდა მიწების გლეხების ხელში გადაცემას, მთავრობა აქაც ისე მოიქცა, როგორც ალექსანდრე მეორემ გლეხები გაანთავისუფლა და მიწები კი ბატონებს დაუტოვა, ახლა კი ჩვენმა კოალიციამ ჯერ ტუსაღები გაანთავისუფლა (100,000) ასი ათასობით, რომელნიც უმრავლესობას შეადგენდა მიწის მუშას და მშრომელ ხალხს და უადგილობით და უმიწოწყლობით ისინი განიცდიდენ საშინელ ტანჯვას, მათთვის კი არაფერი დაუმზადებიათ. გაანთავისუფლეს და მეტი არაფერი. რას იზამდენ შემდეგში ეს უსახლკარო უსახსრო უმიწაწყლო აუარებელი არმია? რა საკვირველია იძულებული გახდებოდენ ემოქმედნათ ისე, როგორც მათ ხელი მიუწვდებოდათ ამის შედეგი ის იყო, რომ გამრავლდა ავაზაკთა, ხულიგანთა ჯგუფი, გაიდგა ფესოები ბანდიდება და დღეს კი გაოსულ ნ ჩვენი მენშევიკები და გაიძახიან „ბალშევიკების გამოსვლამ მოუხზადა ნიადაგი ანარქიასო". სად იყვნენ მაშინ ბალშევიკები როდესაც თქვენ ესენი ჩადიოდით? ბალშევიკების გამოსვლამდე მთელი გაზეთების ფურცლები სავსე იყო ცნობებით, რომ რუსეთში ანარქია მძვინვარებსო, დასწვეს, მამულები გაანადგურეს კერძო ქარხნები, მოკლეს, აიწიოკეს და სხ. და ვინ გამოიწვია ეს? გატყდით, იწამეთ, რომ ეს სულ თქვენი მეოხებით იყო გამოწვეული და არა ბალშევიკებისგან. მთავრობა, იმის მაგიერათ. რომ მარტის დღეებში გამოეცა მიწის და ზავის დეკრეტი, მოეხდინა ის, რაც დღეს მოახდინა ბალშევიკების მთავრობამ, გააწვ-ვა ომი, გადასცა მთელი რუსეთის ბედიობალი კერენსკი-კორნილოვის ხელში, რომლებმაც აღადგინეს სიკვდილით დასჯა ფრონტზე", მისცეს საშუალება ბურჟუა კადეტებს დაერაზმათ თავიანთი ბანაკები რევოლიუციის წინააღმდეგ, რამაც თავისი შედეგი კიდევაც გამოიღო, აჯანყდა კორნილოვი და სახამ კერენსკი გამოაცხადებდა თავის თავს დიქტატორათ, მან მოიწადინა დასწრება, გადასცა რიგა გერმანიას აუწიეს პურს და სხვა სანოვაგეს უაზლურო ფასები, ერთი სიტყვით მთავრობამ შეასრულა თავისი მოქალაქობრივი ვალი თავის კლასის წინაშე, გაუხსნა ხელ-ფეხი მათ ჩარჩ-სპეკულანტებს, და ამ დროს კი მშრომელ ხალხს ატყუებდა მალე იქნება მოწვეული დამფუძნებელი კრება დაის გიწამლებთ თქვენაო. მხოლოთ თვითონ კი კარგათ სწამლობდნენ თავიანთ მოძმეებს. ჩარჩი სპეკულიანტების ადვირ წახსნილობას არ ანდომებდნენ დამფუძნებელ კრებას, თვითონ ხსნიდენ მას და რაც საჭირო იყო მშრომელი ხალხისთვის, იმას კი დამფუძნებელი კრებისთვის ინახამდნენ.

როდის იქნებოდა ეს დამფუძნებელი კრება? ამასაც ვერ მოესწრებოდა ხალხი. ჯერ პირველი ის, რომ კადეტები თავიანთ საკლავ დანას თვითონ ვერ გაილესამენ. ნუ ჰგონიათ ეს ჩვენ გულუბრყვილო „რეკლამისტებს". ვინ უნდა იყოს ისე სულელი და ბრმა, რომ არ მიუხვდეს კადეტების საქმიანობას. ისინი თავიანთი ბატონობის და კერძო ინტერესების გულისთვის მზათ არიან გაჰყიდონ არამც თუ მთელი რუსეთი, არამედ მთელი ქვეყანაც. ოღონდ კი მათ იბატონონ და ყველა საზიზღრება მათთვის ხელსაყრელია. გაიხსენეთ რიგის დათმობა, სიკვდილის დასჯის აქტი, დამფუძნებელი კრების მოწვევის გადადება და ბოლოს პეტროგრადის დათმობა, არმიის და მატროსების განადგურება დამოსკოვში კონტრ-რევოლიუციონერებისმოწვევა და ჩვენ ნამდვილათ დავრწმუნდებით მათ მუხანათობაში. და აი ჩვენს ბ.ბ. რეკლამისტებს ამათთანა ხალხთან ქონდათ დამოკიდებულება, კავშირი და მათთან ერთათ მოქმედებდნენ ამ სამარცხვინო „მუშაობაში". ჯერ თვითონ შექმნეს საძაგელი პირობები, მიიყვანეს ქვეყანა დაღუპვის კარამდე არივდარიეს, აწეწ დაწეწეს რუსეთის საქმეები და ამ ნარბევ ნანგრევებზე შეუდგნენ ბალშევიკები საქმიანობას, ეხლა გამოდიან ეს გულწრფელი პროვოკატორების ამქრები და გაიძახიან როგორც სიტყვით ისე მწერლობით: ბალშევიკებია დამნაშავე ყველაფერშიო. როდესაც რომ მოსთხოვ დამტკიცებას, ფაქტებს, ისინი სიტყვას ბანზე ისვრიან და სცდილობენ თავიანთი ალლეგორიით ფონს გავიდნენ.

დიახ თუ ბრმები არ არიან უნდა დაინახონ ყველამ ეს ნამოქმედარი და ერთხელ და სამუდამოთ ზურგი შეგაქციოთ ყველა ჭეშმარიტებით აღჭურვილმა ადამიანმა. უკვე ზურგი შეგაქციათ თვით იმ კლასმა, რომელზედაც თქვენ ეყარებოდით; პროლეტარიატმა და მშრომელმა გლეხკაცობამ. ახლა უფრო მწვავდებიან ეს ვაჟბატონები, უფრო პირში ქაფი მოსდით და ვითომდა უკრაინის მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველებათ გამოდიან. სად იყავით მაშინ როდესაც თქვენ ხელში იყო ძალა უფლება, მაგრამ მაინც საჭიროთ არა სცნობდით უკრაინის თვითგამორკვევას? თქვენ ხომ დაუძინებელი მტერი ხართ ბალშევიკების და თქვენ ხომ მხოლოთ იმათ წინააღმდეგ ილაშქრებთ? თქვენ არ გაინტერესებს არც უკრაინა, არც მშრომელი ხალხის ინტერესები. ბალშევიკები ომს უცხადებს უკრაინასო, გარეკეს დამფუძნებელი კრებაო და სხვ. დიახ ჩვენ უცხადებთ ომს მათ, ვინც რევოლიუციის წინააღმდეგ მიდის. ომის გამოცხადებას უკრაინის მშრომელი ხალხის საჭიროება მოითხოვს კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ. ჩვენ უცხადებთ ომს არა უკრაინის მუშა გლეხ-ღარიბს, არამედ კონტრ-რევოლიუციონერებს. ჩვენ გავრეკეთ არა დამფუძნებელი კრების დეპუტატები, არამედ უზურპატორთა ბანდა 40 კაციანი შემდგარი, რომლებმაც მოიწადინეს ძალით ძალაუფლების ხელში ჩაგდება; „რევოლიუცია ლოკომოტივია ცხოვრებისაო" ამბობს მარქსი. დიახ ჩვენ გვინდა ჯერ გავამაგროთ ეს ლოკომოტივი და მერე შეუდგეთ ვაგონების გაწესრიგებას. ასეა ჩვენო „სოციალისტებო": ჩემი შენ გითხარ შენითა და მით გული მოიკალიო.

რა—მან.

# რუსეთის ქრონიკა.

17—18 დეკემბერს თფილისში შემდეგი დეპეშა მოვიდა:

როსტოვში ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. კიევსა ხარკოვს და მოსკ-ეს რკინის გზაზე მოძრაობა აღდგენილია. დონის მთავრობა ჯერ არ შემდგარა, აირჩიეს მხოლოთ შვიდი ყაზახთა ოლქიდან და მერვე თავმჯდომარე ატამანის თანაშემწე. დანარჩენ შვიდს აირჩევს დონის ყაზახთა წრე 19 დეკემბერს. ატამანი ასრულებს პრეზიდენტის და ჯარების სარდლის ფუნქციას. ყაზახთა გარდა შვიდს ირჩევს—ორს გლეხები ორს სხვა ქალაქები და ერთს მუშები. განზრახვა აქვთ გამოუშვან ერთი მილიარდი მანეთის ქაღალდის ფული. პურს მიიღებენ ყუბანის ოლქიდან ქვანახშირის ნაცვლათ.

ტყუილია ის ხმები, თითქოს პეტროგრადში დაიჭირეს როდიჩევი, მილიუკოვი და ვინავერი. პეტრე-პავლეს ციხეში სხედან შინგარევი, კიშკინი, კოკოშკინი, დოლგორუკივი, პანინა და კარტაშევი, დანარჩენები თავისუფალი არიან. რადგან დაადგინეს კადეტების ცენტრალური კომიტეტის წევრთა დატუსაღება, პეტროგრადში ჩამოსულნი წევრნი არა ლეგალურათ ცხოვრობენ. მოსკოვის განყოფილება მოქმედობს. განზრახული იყო როსტოვში მოეწვიათ პარტიის ყრილობა, მაგრამ არ შესდგა იქ მომხდარ ამბების გამო, ფიქრობენ ისევ ჩქარა მოიწვიონ. სასურველია ამიერ-კავკასიის განყოფილებების მონაწილეობა.

დონის მთავრობის შედგენის საქმე წინ მიდის. ჯერ მთავრობაში დანაწილება არ მომხდარა, დეპარტამენტები მუშაობენ, გაიხსნა ეკონომიური თათბირი. მონაწილეობას ღებულობენ მოსკოვური საზოგადო მოღვაწენი. გამოჰყავს რამდენიმე განყოფილება სხვა და სხვა ფუნქციებით.

როგორც ვიცით, ამას წინათ გენ. კალედინი გადადგა სამსახურიდან, გადადგა აგრეთვე ბოგაევსკიც და სხვები. ეხლა იტყობინებიან, რომ მოხდა ყაზახთა მთავრობის ხელახალი არჩევნები და კალედინი და ბოგაევსკი ისევ აირჩიესო.

# საზღვარ-გარეთ.

ინგლისში.

ზავზე დღეს ინგლისში დიდი მითქმა მოთქმაა: პრესა და საზოგადოება ორ ბანაკათ იყოფა. ერთნი—ლიბერალური ნაწილი თითქმის მომხრეა ზავის, მხოლოთ კონსერვატიული პარტია ჯიუტობს და წინააღმდეგობას აცხადებს. ლორდი ლენსდოუნი კი თავის წერილში მოკავშირეებისგან თხოულობს არა მარტო საერთო სტრატეგიის წარმოებას არამედ საერთო სამხედრო მიზნის შემუშავებასაც. ის აუცილებლათ თვლის, რომ ომის თავიდან ასაცილებლათ წინასწარი ზომები იქნეს მიღებული.

ასკვიტის აზრით ახლა ბევრი კითხვა ხელ-ახლა გასარჩევია და საბოლოვოთ გადასაწყვეტი. ბელგიის აღდგენა აუცილებელია მისი აზრით, მაგრამ საერთოთ ევროპის ქარტის შეცვლა აუცილებელია მოკავშირეების მხრივ, ვინაიდან ბევრმა სახელმწიფომ უკვე დაკარგა აზრი დამოუკიდებელ ყოფა-ცხოვრებისა.

### საფრანგეთის პარლამენტში

როგორც პარიზიდან გაზეთებს აუწყებენ საფრანგეთის პარლამენტმა სამხედრო ბიუჯეტს ისევ მხარი დაუჭირა. მომავალი პირველი სამი თვის სამხედრო ხარჯებისთვის 12 მილიარდი და 241 მილიონი გადასდო, მაშინ როდესაც ჩვეულებრივი ბიუჯეტი, მხოლოდ 2 მილიარდით და 85 მილიონით განისაზღვრა.

### ცრუ ხმების გავრცელება.

ამ რამდენიმე დღის წინათ ხმები გავრცელდა ვითომ შვეცია საომრათ ემზადება და თავის ჯარები ფინლიანდიაში გადმოყავსო. ამის საწინააღმდეგოთ სტოკჰოლმშის დეპეშათა სააგენტო იტყობინება, რომ მან სარწმუნო წყაროებიდან გაიგო, ზემოხსენებული ხმები მტკნარი სიცრუეა და ყოველ გვარ საფუძველს მოკლებულია.

### უთანხმოება საფრანგეთის სოციალისტებ შორის.

საფრანგეთის სოციალისტ დეპუტატებმა მანიფესტით მიმართეს რუსეთის სოციალისტებს. ამ მანიფესტს ხელს აწერენ ყოფილი მინისტრები ტომა სამბა, გედი და პარლამენტის უმრავლესობის ჯგუფი. რეაქციონერმა პრესამ მიულოცა იმ სოციალისტებს, რომლებმაც ამ მანიფესტზე მოაწერეს ხელი. ციმერვალდელებმა ბარაზონმა, ბლანმა და რაფენდიუმენმა უარი სთქვეს მანიფესტზე ხელის მოწერაზე და პოლიტიკურ მოღვაწეთა დიდ უმრავლესობასთან ერთათ დეპუტატების მოქმედების წინააღმდეგ პროტესტი გამოაქვეყნეს. ამ გარემოებამ გამოიწვია კონფლიკტი, რასაც, უეჭველია დიდი გავლენა ექნება პარტიულ ორგანიზაციაზე.

### ბრძოლის ფონდი.

მივიღეთ ალ. ურქომაიშვილისაგან ლანჩხუთის [illegible] ნაგებ შორის შეგროვილი 163 მ.

შემომწირველთა სია:

დ. წილოსანმა 25 მ.

ხუთხუთი მანეთი: ს. დარახველიძე, ნ. დიდიძე, ვ. ებრალიძე, ი. ბარამიძე, ლ. კვიტაიშვილი, ქ. ელენტი.

სამ სამი მანეთი: ქ. წილოსანი, ა. ებრალიძე. ქ. კუკულავა, ე. ებრალიძე, [illegible] მშვიდობაძე, ქ. ცინცაძე, მ. ქ. ებრალიძე, დ. ზენაიშვილი, ე. ბარამიძე, [illegible] ცინცაძე, ბ. შანიძე, პ. ცინცაძე.

ორ-ორი მანეთი: ა. ცინცაძე. ქ. წილოსანი, მ. კანდელაკი, ე. ბაღდავაძე, ქ. იმნაძე, მღ. ე. ჩხაიძე, ე. მახარაძე, ვ. ურუშაძე, ე მეგრელიძე, ქ. მენდ[illegible]რიშვილი, ი. თარგამაძე, [illegible] დათუაშვილი, მ. ქერქაძე, შ. ებრალიძე, მ. იმნაიშვილი, ე. ცინცაძე, ა. ებრალიძე, ბოქერიაშვილი, ლ. კუკულაძე, ე. [illegible]გველიძე, ი. კუკულაძე, ქ. ს. ცინცაძე, მ. მდინარაძე.

თითო-მანეთი: ი. ფოცხიშვილი, [illegible] ცინცაძე, ი. ჩაჩავა, ქ. ფხაკაძე, ნ. [illegible]ქვაძე, ა. ხუბუნაიშვილი, ი. ცინცაძე, პ. სარჯველაძე, ლ. უოუშაძე, ს. ქუქულაძე, ე. ჩხვაძე, ს. ზენაიშვილი, [illegible] იმნაძე, ი. აფხაძე, ქ. იმნაიშვილი, ი. [illegible]შვილი, პ. თოხაძე, რ. ცინცაძე, [illegible] აფხაძე, ნ. ცინცაძე, გ. როდო[illegible], ი. კალანდარიშვილი, პ. იმნაძე, [illegible]ლი წულაძე, ლ. ბარამიძე, ლ. ცინცა[illegible]